30/12/2024

MES 6 24 0001670966

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსი:
ნიკოლოზ ჩხარტიშვილი - სკოლის დირექტორი

შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე:
ირინა ქიქავა- სკოლის დირექტორი

შპს აითი აკადემია სტეპი:
მაკა მახათაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა:
ზურაბ ზაქარაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლა:
როენა ფიფია- სკოლის დირექტორი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა:
ლეილა ჩიტაური - სკოლის დირექტორი

სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლა:
იამზე თურმანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლა:
მანანა გურგენაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლა:

მაია მღვდელაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლა:
ლალი გულედანი - სკოლის დირექტორი

სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლა:
სვეტლანა ბოკუჩავა - სკოლის დირექტორი

სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლა:
თეა გიგუაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლა:
ია კვატაია- სკოლის დირექტორი

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლა:
ლელა სიჭინავა- სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლა:
კობა წენგუაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლა:
სოფიო მელიქიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსი:
ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე:

ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა გიორგობიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კაპანაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მგალობლიშვილი(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ ვერა გუდაძე(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 20 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. „შპს აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N 1414716 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
5. „სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N 1396138 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
6. „სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;

9. „სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N 1771665 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
10. „სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
11. „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N 71540 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
12. „სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N 1771665 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
13. „სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N 1771665 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
14. „სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 16 სექტემბრის N 1375556 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
15. „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N 1552694 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
16. „სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
17. „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 1704379 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ზვიად ბერიძე და წევრი, ია ქურიძე, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ახერხებდნენ საბჭოს სხდომაზე დასწრებას და მიმართა საბჭოს წევრებს აღნიშნული საკითხის გადატანასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარე, დაინტერესდა, ზემოხსენებული დაწესებულების წარმომადგენელი ესწრებოდა თუ არა საბჭოს სხდომას. აღნიშნულან დაკავშირებით პოზიცია არავის წარმოუდგენია.
ცენტრის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ დღის წესრიგში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ:
მე-13 საკითხში ნაცვლად N 1771665 ოქმისა, უნდა ყოფილიყო N1251483; ასევე მე-14 საკითხში ნაცვლად 16 სექტემბრისა უნდა ყოფილიყო 16 ოქტომბერი.ცენტრში ქარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, ზემოხსენებული გათვალისწინების თაობაზე.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ცენტრის შუამდგომლობები, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. „შპს აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N 1414716 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
4. „სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N 1396138 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
5. „სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
6. „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N 1771665 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა
9. „სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
10. „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N 71540 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
11. „სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N 1771665 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
12. „სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N 1251483 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
13. „სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N 1375556 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
14. „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N 1552694 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
15. „სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N 1638083 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;

16. „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N 1704379 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 23 ოქტომბერს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1342622 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, რუსულ ენაზე.

ექსპერტის თქმით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის 16 სექტემბერს შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ პლიუსის მოსწავლის მშობლის კორესპონდენცია. განცხადებაში მშობელი აღნიშნავდა, რომ მუსიკის მასწავლებელმა, რომელიც იყო ამავდროულად კლასის დამრიგებელი, მშობლებისა და მოსწავლეების საერთო მიმოწერის ჯგუფში, მოსწავლეს მიაყენა შეურაცხყოფა და დაამცირა. მშობლის თქმით, მან მიმართა სკოლის დირექციასა და მასწავლებელს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, თუმცა მასწავლებელი კვლავ აგრძელებდა მოსწავლისადმი მსგავს მოპყრობას.

ექსპერტის თქმით, სკოლაში მოსწავლისა და მშობლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით, დაწესებულებაში არსებული მექანიზმებისა და კონკრეტულად ვიზიტის საფუძვლის, მშობლის განცხადებაში აღწერილი გარემოებების, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შესწავლისა და მასზე სკოლის რეაგირების მოკვლევის მიზნით, დაიგეგმა გასაუბრებები დირექტორთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, სკოლის ფსიქოლოგთან. ექსპერტის თქმით, დადასტურდა ზემოაღნიშნულ საერთო ჯგუფში მიმოწერის ნამდვილობა.

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მასწავლებელი მოსწავლის დავალებას უწოდებდა „სირცხვილს“, „საშინელებას“ და სთხოვდა დავალების ხელახლა შესრულებას.

მასწავლებელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აღნიშნული მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს, არ იყო სრულყოფილი და სთხოვდა თავიდან შეესრულებინა იგი. მასწავლებლის განმარტებით, მან ზოგადად შეახსენა მოსწავლეებს დავალების თაობაზე, კონკრეტულმა მოსწავლემ კი უპასუხა, რომ მას უკვე ჩაბარებული ჰქონდა დავალება, რასაც პასუხად მოჰყვა განცხადებაში აღნიშნული გარემოებები. მასწავლებელი განმარტავდა, რომ მან მოსწავლეს აღნიშნული ფრაზა იუმორით უთხრა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მშობელმა მიმდინარე წლის 28 მაისს მიმართა სკოლის დირექციას და დააფიქსირა კლასის დამრიგებლის მიმართ საკუთარი უკმაყოფილება და ასევე, ითხოვა მასწავლებლის კლასიდან განრიდება. ექსპერტის თქმით, დირექტორმა გასაუბრების დროს განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის მოკვლევის მიზნით სკოლამ ჩაატარა გასაუბრებები მშობლებთან. დირექტორის განმარტებით, მათ არ დაუფიქსირებიათ რაიმე სახის უკმაყოფილება მასწავლბლის მიმართ, შესაბამისად, სკოლის დირექციამ მშობელს შესთავაზა მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანა. მასწავლებელს კი მიეცა ზეპირსიტყვიერი შენიშვნა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2024 წლის 28 მაისს ელ.ფოსტაზე მიღებული მშობლის საჩივრის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება დაწესებულებამ მშობელს ოფიციალურად (წერილობით) აცნობა 12 ივლისს. ექსპერტის თქმით, მშობლის ინფორმირება საჩივრის წერილის დარეგისტრირებიდან 30 დღეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ მოხდა, ხოლო საჩივრის განხილვის ვადად სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული იყო 1 თვე. ექსპერტის თქმით, სკოლის მიერ საჩივრის განხილვის ვადის გახანგრძლივების საფუძველი (საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა) არ გამოვლენილა.
ამავე პერიოდში, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, მშობელმა საკუთარი ინიციატივით მიმართა ფსიქოლოგს (სკოლის მიღმა) და ბავშვთან ერთად გაიარა მასთან კონსულტაცია. ექსპერტის თქმით, მშობელმა აღნიშნა, რომ ამავდროულად, დაუკავშირდა მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი და შესთავაზა კონსულტაცია. მშობლის განცხადებით, მას სურდა კონსულტაციის გავლა, თუმცა შემდგომ არავინ დაკავშირებია.
ექსპერტის თქმით, მშობელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ კლასის დამრიგებელი არ ატყობინებდა დროულად მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომებს. მისი თქმით, ის შვილისაგან იგებდა გარკვეულ ფაქტებს და შემდგომ თავად უკავშირდებოდა დამრიგებელს.
აგრეთვე, ვიზიტის დღეს (23.10.2024) ექსპერტთა ჯგუფისათვის ცნობილი გახდა, რომ მოსწავლე სკოლიდან დროებით იყო დათხოვნილი, 21 ოქტომბრიდან, 10 დღის ვადით. ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ მშობლის განმარტებით, ის თვითონ დაუკავშირდა მასწავლებელს, რათა მიეღო ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მიეწოდებინა მოსწავლის შესრულებელი დავალებები საგნის მასწავლებლებისათვის, ნაცვლად იმისა, რომ დამრიგებელი თავად დაკავშირებოდა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეს წარსულშიც ჰქონდა დისციპლინური სახდელები. მისი თქმით, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული იყო მოსწავლის დისციპლინური სახდელები, მათ შორის, სკოლიდან დროებით დათხოვნა: „სკოლიდან დროებით დათხოვნა ხუთ სასწავლო დღემდე ვადით და სკოლიდან დროებით დათხოვნა ათ სასწავლო დღემდე ვადით“ (შინაგანაწესი, მუხლი 16. პუნქტი 6 და მუხლი 16. პუნქტი 7). დირექტორის ბრძანებით მოსწავლეს დაეკისრებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი ორჯერ: „სკოლიდან დროებით დათხოვნა ხუთ დღის ვადით“ და „სკოლიდან დროებით დათხოვნა ათი დღის ვადით.“ ორივე შემთხვევაში მოსწავლის დათხოვნის მიზნით, ბრძანებით განსაზღვრული დღეების რაოდენობა არ იყო თანხვედრაში შინაგანაწესით დადგენილ ვადებთან.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, არსებული საკითხის შესწავლის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულების მიერ არ იყო დაკმაყოფილებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შემდეგი ინდიკატორები: N3.3.1.3, N3.4.1.3, N4.1.1.1 და დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისათვის ინდიკატორი N2.1.2.5. აქედან გამომდინარე, მესამე, მეოთხე და მეორე სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. აღნიშნული ინდიკატორების შეფასების დეტალური აღწერა მოცემული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ფსიქოლოგი და რა ღონისძიებები გაატარა მან განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებების აღმოფხვრისთვის.
სკოლის დირექტორის, ნიკოლოზ ჩხარტიშვილის, განმარტებით, აღნიშნული შემთხვევა შეისწავლა მრჩეველთა საბჭოსთან ერთად და მიმდინარე სემესტრში ჩაატარდა ღონისძიება კიბერ ბულინგის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ფსიქოლოგი, თუმცა, მანდატურის სამსახურმა თავისი ინიციატივით გადაამისამართა მშობელი ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგთან, ვინაიდან, გაზაფხულის პერიოდში მოსწავლეს ჰქონდა გადაცდომის შვიდი ფურცელი მიღებული. ხოლო სკოლის ფსიქოლოგთან კინსულტაციისთვის მშობელს არ მიუმართავს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, წარსულ შემთხვევებთან დაკავშირებით იყო თუ არა ინფორმირებული და ჩართული სკოლის ფსიქოლოგი და შეისწავლეს თუ არა ექსპერტებმა ფსიქოლოგის მუშაობის შედეგები გამოვლენილ გადაცდომებთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, აღნიშნა, რომ ჩატარდა გასაუბრება სკოლის ფსიქოლოგთან. მისი თქმით, იგი კარგად იცნობდა მოსწავლეს და ჩართული ჰყავდა ფსიქოლოგიის გაკვეთილებში, თუმცა, ინდივიდუალურად, ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფსიქოლოგს მოსწავლესთან არ უმუშავია.
აქვე, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მშობლის მიმართვის გარეშე, ფსიქოლოგი ვერ ჩაერთვებოდა აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დიანტერესდა, როგორ იყენებდა სკოლა ფსიქოლოგის შტატით განსაზღვრულ მომსახურებას, იმ ფაქტის გარდა, რომ მშობელმა უნდა მოითხოვოს მისი ჩართულობა.
სკოლის დირექტორის, ნიკოლოზ ჩხარტიშვილის, განმარტებით, ფსიქოლოგი აქტიურად იყო ჩართული პირველკლასელთა ადაპტაციისას და პროფორიენტაციის დანერგვის მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, გაიარა თუ არა ფსიქოლოგთან კონსულტაცია ზემოაღნიშნულმა მასწავლებელმა. აქვე, აღნიშნა, რომ განცხადებაზე დაგვიანებული რეაგირება საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეთა უსაფრთხოებას.
სკოლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მშობელთან ჰქონდა პირდაპირი კომუნიკაცია და განიხილეს პრობლემის მოგვარების გზები. მისი თქმით, დაწესებულებამ კლასის დამრიგებლის უფლება-მოვალეობების დოკუმენტში შეიტანა ცვლილება, რაც გულისხმობდა, რომ მასწავლებელს არ ჰქონდა უფლება საერთო მიმოწერის ჯგუფში კომუნიკაციის. მისი თქმით, მასწავლებელმა გაიარა კონსულტაცია სკოლის ფსიქოლოგთან, რომელიც ამავდროულად სკოლის დირექტორის მოადგილეც იყო.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, დაწესებულება კომუნიკაციის რომელ საშუალებებს იყენებდა მშობლების ინფორმირების მიზნით. ასევე, მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, რამდენად ეფექტურად ართმევდა თავს ფსიქოლოგი დაკისრებულ ვალდებულებებს, იმის გათვალისწინებით, რომ პარალელურად დასაქმებული იყო იმავე სკოლაში როგორც დირექტორის მოადგილე.
ექსპერტის, ცირა ნიკოლაშვილის, განმარტებით, ვიზიტის დროს კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა საერთო მიმოწერის სასაუბროები. მისი თქმით, ექსპერტებმა შეისწავლეს ხელშეკრულებები, პირადი საქმეები და გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ფსიქოლოგი არ მუშაობდა ინდივიდუალურად მოსწავლეებთან, იგი ატარებდა მხოლოდ ჯგუფურ შეხვედრებს.
აქვე, სკოლის დირექტორმა, დასძინა, რომ კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა ელექტრონული ჟურნალი „school book“.

საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რომელი სტრუქტურული ერთეული მუშაობდა დისციპლინური გადაცდომების მიმართულებით. აქვე, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, გამოეცა ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურებოდა, რომ სკოლაში სიძულვილის ენით საუბარი იყო აკრძალული.
სკოლის დირექტორის განმარტებით, წარსულში თავად იკვლევდა დისციპლინურ გადაცდომებს, მიმდინარე პერიოდში კი დაწესებულებაში შეიქმნა დისციპლინური საბჭო. მან აღნიშნა, რომ მასწავლებელთა ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილი იყო, რომ სასკოლო საზოგადოებასთან ისინი ყოველთვის უნდა ყოფილიყვნენ კორექტულები.
საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, დაინტერესდა, რა ტიპის გადაცდომები ჰქონდა განმცხადებელი მშობლის მოსწავლეს. სკოლის დირექტორის, ნიკოლოზ ჩხარტიშვილის, განმარტებით, მოსწავლეს დარღვევად უფიქსირდებოდა კლასელის მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, სხვისი ნივთის დაზიანება, გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა და სხვა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა მოტივს ასახელებდა მასწავლებელი საკუთარი ქმედების ასახსნელად. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასწავლებელს ჰქონდა თავისებური იუმორი. დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლა არ ამართლებდა მსგავს მოპყრობას მოსწავლის მიმართ და მასწავლებლის მიმართ გამოყენებული იქნა საყვედურის ფორმა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა მასწავლებელს წარსულში მსგავსი დისციპლინური წარმოება და როგორი ურთიერთობა ჰქონდათ მიმდინარე პერიოდში მოსწავლესა და მასწავლებელს.
ექსპერტ ცირა ნიკოლაშვილის, განმარტებით, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დასტურდებოდა, რომ მასწავლებელი იყო საკმაოდ კომპეტენტური. გარდა ამისა, მშობლებთან გასაუბრებისას არ გამოვლენილა რაიმე სახის უკამყოფილება აღნიშნული მასწავლებლის მიმართ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მოსწავლე 10 დღით დათხოვნილი იყო სკოლიდან, შესაბამისად, ვერ შეფასდა მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა. ექსპერტის შეფასებით, სკოლამ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად არ განახორციელა სათანადო რეაგირება, ასევე, დაარღვია საკუთარი შინაგანაწესი.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებებს არ ჰქონდა მითითებული საფუძვლები და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მეტი ყურადღება დაეთმო აღნიშნული საკითხისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო 17:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 9
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის (ს/კ: 406243514) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები.

2. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 28 და 29 ოქტომბერს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1336115 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ და რუსულ ენაზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ორ ცვლაში: პირველ ცვლაში სწავლობდნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, ხოლო მე-2 ცვლაში, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში სწავლობდა 560 მოსწავლე.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის შესახებ და აღნიშნა, რომ შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე დაფუძნდა 25 წლის წინ, ქალაქ ბათუმში. ვინაიდან დაწესებულება მდებარეობდა საპორტო ქალაქში, სადაც

ინტერნაციონალური გარემოა და ახალგაზრდების დიდი ნაწილი საზღვაოსნო საქმეში აგრძელებს საქმიანობას, სკოლას დაფუძნების დღიდან ჰქონდა ორი სექტორი-ქართული და რუსული. მისი განმარტებით, სექტორებს შორის მუდმივად იმართებოდა საერთო ღონისძიებები და არაფორმალური აქტივობები.
დაწესებულებაში წახალისებული იყო მოსწავლეთა სახელოვნებო და ფიზიკური აღზრდა. ხორციელდებოდა სხვადასხვა პროგრამა, პროექტი და სხვა, არაფორმალური განათლების აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავდა მისიასა და ხედვაში აღწერილი პრიორიტეტების მიღწევას. ექსპერტმა, განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა დაწესებულების მხრიდან მასწავლებელთა და თანამშრომელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას. სკოლაში სისტემატურად ეწყობოდა ტრენინგები, სწავლა-სწავლების აქტუალურ საკითხებზე, რომელებიც ფინანსდებოდა დაწესებულების მიერ.
ექსპერტმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები); მე-3 (ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაცია და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მისი თქმით, რეკომენდაცია ეხებოდა სკოლის სახელწოდების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, ექიმის ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია, საკონფერენციო დარბაზი, შიდა სპორტული და სააქტო დარბაზი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა წერილი, სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით და დაწესებულების სახელწოდება იყო „შპს სკოლა გიმნაზია 21-ე საუკუნე“.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტებს გაცემული ჰქონდათ კვალიფიციური რჩევები და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაეთვალისწინებინა აღნიშნული.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება აპირებდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევების გათვალისწინებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო 18:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა გიმნაზია 21-ე საუკუნის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სკოლა გიმნაზია 21-ე საუკუნის (სკ: 245433865) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭოს წევრების მიერ მოხდა 2023-2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებების რევიზია. გამომდინარე იქიდან, რომ საგნობრივი ექსპერტები სკოლის შეფასების პროცესს ახორციელებენ დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, წინასწარ შესწავლილი კურიკულუმის საფუძველზე, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა იმ სკოლებში, სადაც მეორე სტანდარტის მონიტორინგი დანიშნული იყო ადგილზე ვიზიტით, შეიცვალოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტების შესწავლით.

3. „შპს აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, შპს აითი აკადემია სტეპს (ს/კ: 405150465) დაენიშნა მონიტორინგი 2025 წლის ოქტომბრიდან 3.4 (ადგილზე ვიზიტით), ხოლო ცენტრის ინფორმირება 3.5 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, 3.4 კომპონენტთან მიმართებით მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ინფორმირება 2025 წლის ნოემბერში, ხოლო 3.5 და 3.6 კონენტებთან მიმართებით, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ოქმის პირველ ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს

ცვლილება „შპს აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1414716 ოქმის პირველ ნაწილში ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. შპს აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. მან განაცხადა, რომ შპს - აითი აკადემია სტეპში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N34-N34ბ-სა და ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N44-ში. დაწესებულებას სურდა განეხორციელებინა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 240.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, აღნიშნა, რომ შპს აითი აკადემია სტეპი, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ახლა ფუძნდებოდა. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციას არ ჰქონდა ზოგადი განათლების მიმართულებით დაგროვილი გამოცდილება და/ან საუკეთესო პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა არაფორმალური განათლების სფეროში. სწორედ ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, წარმოეჩინათ შპს აითი აკადემია სტეპის ძლიერი მხარე მის არსებულ საქმიანობასა და ადამიანურ რესურსზე დაფუძნებით.
შპს აითი აკადემია სტეპი 2016 წლიდან ახორციელებდა კომპიუტერული მეცნიერებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით არაფორმალური განათლების საქმიანობას. ორგანიზაცია წარმოადგენდა საერთაშორისო კომპანიის - IT Academy STEP პარტნიორს, რომლის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი იყვნენ 1500-ზე მეტ კომპანიაში, მათ შორის, ისეთ გიგანტურ კორპორაციებში, როგორებიცაა: Microsoft, Facebook, Ebay, DELL, Amazon და ა.შ.
დაწესებულებას ხელმძღვანელობდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში ბიზნესის მართვის, ახალგაზრდების განათლებისა და ფინანსური დაგეგმვის მიმართულებით. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მმართველი საბჭოს წევრებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად, მიიღო გადაწყვეტილება დაეფუძნებინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მთავარი პრიორიტეტი იქნებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაღრმავებული და ინტეგრირებული სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სხვა დისციპლინასთან ერთად.
ქეთევან ბაცანკალაშვილის განცხადებით ავტორიზაციის ექსპერტთა გუნდი შეთანხმდა, რომ აღნიშნული მიდგომა საკამოდ ინოვაციური იყო დღევანდელ საგანმანათლებლო ბაზარზე, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისათვის, ვისაც კარიერის გაგრძელება სურდათ STEM საგნების, კომპიუტერული მეცნიერებების, სამედიცინო სფეროს და ჯანდაცვის მიმართულებით.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება, ჩაატარა ინტერვიუები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც დაწესებულების მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა, კერძოდ, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მესამე სტანდარტი როგორც „ნაწილობრივ“ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს . მესამე სტანდარტის კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 კი შეფასდა, როგორც „მეტწილად“ შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან დაწესებულების წარმომადგენლებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა მახათაძემ განაცხადა, რომ მათ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინეს შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვდა ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებული გარკვეული რეკომენდაციების ბათილად ცნობას. კერძოდ ვიდეო კამერების დამატებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში გამოგზავნის შემდეგ წარმოდგენილი იყო დოკუმენტაცია, რომელიც ასახავდა რიგი ხარვეზის გამოსწორებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ დასკვნაში ასახული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინათ ცენტრში.

საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, ასევე, დაინტერესდა რამდენად იყო დაწესებულების შენობა ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შენობაში უკვე დამონტაჟებული იყო პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების სახელი არ შეესაბამებოდა სტანდარტს და არღვევდა 1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნას.

დაწესებულების მმართველი საბჭოს წარმომადგენელმა, ნინო ბეგიაშვილმა განაცხადა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის, გ-ქვეპუნქტის მიხედვით რეგისტრირებისას, სამეწარმეო რეესტრმა განმარტა, რომ სიტყვა „IT“-ის ქართული შესატყვისი იყო „აითი“ , შესაბამისად, მათ რეგისტრაცია გაიარეს ამ სახელწოდებით. საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ შეუსაბამობა ვლინდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის აღმნიშვნელ ტექმინთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს მოსწავლეთა გადაადგილების უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობები მდებარეობდა ერთ ეზოში და ერთმანეთისგან დაშორებული იყო მხოლოდ სამი მეტრით.

საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს შინაგანაწესში აღნიშნული აკრძალული ნივთების შესახებ, ის დაინტერესდა, რა ითვლებოდა ძვირადღირებულ ნივთებად.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ბეგიაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული უსაფრთხოების სტანდარტებიდან გამომდინარე, რომლებიც იცავდა მოსწავლეს ნებისმიერი სახის ზიანისგან, შპს აითი აკადემია სტეპისთვის აღნიშნული ჩანაწერი იყო დამზღვევი მექანიზმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენდა დაწესებულების შიდა რეგულაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა შპს აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს - აითი აკადემია სტეპს (ს/კ: 405150465) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი N 34 - N 34ბ; ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი N 34 - N 34ბ; ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის ნოემბერში წარმოედგინა 3.4 კომპონენტის გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3,5 და 3.6 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.“

4. „სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 18 ოქტომბრის N 1396138 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლას (ს/კ: 245428933) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის სექტემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, მისი მითითებით, ოქმში არ ფიქსირდებოდა მონიტორინგის ფორმა და შესაბამისად საჭიროებდა დაკონკრეტებას. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ოქტომბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1396138 ოქმის მეხუთე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხის განხილვა დაიწყო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და საბჭოს წევრებთან მიმართვით, ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ

ჰქონდათ, ასევე საბჭოს წევრებმაც დააფიქსირეს იგივე. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კვლავ საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ სიტყვა გადასცა ავტორიზაციის ექსპერტებს, კონკრეტულად ჯგუფის თავმჯდომარეს, მაკა ტუკვაძეს.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საკითხის წარდგენა დაიწყო ვიზიტის საერთო მოკლე მიმოხილვით და განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის20 და21ივლისს. ესპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. აქვე დაამატა, რომ საწყის ეტაპზე, უშუალოდ ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პირველად საავტორიზაციო განაცხადსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ხოლო შემდეგ ადგილზე მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და დამატებითი მასალების შესწავლა / შეფასება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ დღის წესრიგის მიხედვით დისტანციურ რეჟიმში გასაუბრებოდნენ სკოლის მასწავლებლებს და მოეძიებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მე-2 სტანდარტთან მიმართებაში. აქვე განმარტა, რომ დაწესებულება სურდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო - 2800, რასაც ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი.
მაკა ტუკვაძემ საბჭოს წევრებს დეტალურად, კომპონენტისა და ინდიკატორის მითითებით, წარუდგინა ყველა ის თავდაპირველი ხარვეზი, რომელიც სკოლას უშუალოდ ვიზიტის მსვლელობის დროს დაუფიქსირდა და შემდეგ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, სტანდარტებთან უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები, რის შემდეგაც პირველადი ხარვეზების ნაწილი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ხოლო მე-2 სტანდარტი - მეტწილად შესაბამისი.
კერძოდ, არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა:

- „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა - 2023-2030 წწ;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 1-ლი სტანდარტი - სკოლის ფილოსოფია შეფასდა, როგორც „შესაბამისი“, მე-2 სტანდარტი - სასკოლო კურიკულუმი - „მეტწილად შესაბამისი“, მე-3 სტანდარტი - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - „შესაბამისი“, მე-4 სტანდარტი - მოსწავლეთა მხარდაჭერა შეფასდა, როგორც „შესაბამისი“ ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.
აღნიშნულის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გადავიდა სკოლის მიმართ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე და დამსწრე საზოგადოებას გააცნო თოთოეული კომპონენტისა და ინდიკატორის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები/რჩევები, რაც დეტალურად იყო აღწერილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში.

აქვე მაკა ტუკვაძემ ისაუბრა სკოლის მატერიალური-ტექნიკურ ბაზის შესახებ და დააფიქსირა, რომ დაწესებულების სამივე შენობა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ყველანაირი ინვენტარით.
ექსპერტთა ჯგუფის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, პეტრე ბაბილუას, რომელსაც კითხვა ჰქონდა დაწესებულების გაძლიერებულ სტატუსთან დაკავშირებით, კერძოდ მან მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რაში გამოიხატებოდა ის ფაქტი, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ფიზიკისა და მათემატიკის მიმართულებებს.
აღნიშნულზე სკოლის დირექტორმა, ზურაბ ზაქარაძემ, განმარტა, რომ სკოლა გაძლიერებულ სწავლებას ახორციელებს საბაზო და საშუალო საფეხურებზე 2012 წლიდან, მას შემდეგ რაც სამინისტროს მხრიდან მიენიჭათ, ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სკოლის სტატუსი და სახელი, ხოლო აღნიშნული დასტურდება სასკოლო კურიკულუმში ზემოთ ხსენებულ მიმართულებებზე დამატებული საათებითა და თემებით, ასევე დაგეგმილი აქტივობებით, კერძოდ, რეგიონალურ და საეთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში წარჩინებული მოსწავლეების მონაწილეობით.
ზეპირი მოსმენისას საბჭოს წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს დასკვნის პროექტში ასახულ რეკომენდაციებზე, კერძოდ 3.4.1.1 და 3.5.1.1 ინდიკატორების დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც ეხებოდა 1) სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება; 2) სამივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან და 3) სამივე შენობის მდგრადობაზე დასკვნის მოპოვება შესაბამისი ორგანოსგან. ასევე სკოლას მიმართეს, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2023 წლის ოქტომბერი-დეკემბერი) უზრუნველყოს მე-2 და მე-3 კორპუსების, სკოლის მფლობელობაში არსებობის დადასტურება (საჯარო რეესტრის ამონაწერით).

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 3

უარყოფითი ხმები დააფიქსირეს ეკატერინე კვირიკაშვილმა, ზვიად გოგუაძემ და პეტრე ბაბილუამ, რაც გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ სკოლას არ ჰქონდა დასკვნა სამივე შენობის მდგრადობის შესახებ, სამივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან და სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. ასევე, სკოლას რეესტრის ამონაწერით მფლობელობაში არ უფიქსირდებოდა მე-2 და მე-3 კორპუსები.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტისშესაბამისად სსიპ - ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო

სკოლას (ს/კ: 245428933) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, ფიროსმანის ქ.N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, ფიროსმანის ქ.N5 და სვიშევსკისქ.N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, ფიროსმანის ქ.N5 და სვიშევსკისქ.N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგთან დაკავშრებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

ასევე სკოლას განუსაზღვრა რეკომენდაცია, რომ 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;
- სამივე შენობის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან;
- დასკვნა სამივე შენობის მდგრადობაზე.“

5. „სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლას (ს/კ: 242735910) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მეორე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმის მეორე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ .
მისი თქმით, დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემში.

დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 სტანდარტი, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა) და 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა სკოლას სტრატეგიული განვითარების განხორციელების შედეგების გასაჯაროების პრაქტიკა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მეთოდოლოგიური დოკუმენტი, ასევე, შექმნილი იყო სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა, დაწესებულებას საწყის ეტაპზე ჯერ ვერ ექნებოდა აღნიშნული შედეგები გასაჯაროებული.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ექსპერტთა მხრიდან გაცემული რჩევების შესასრულებლად, რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავდა სკოლა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, როენა ფიფიამ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება სკოლას დაწყებული ჰქონდა.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაინტერესდა, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით რა ღონისძიებებს ახორციელებდადაწესებულება. როენა ფიფიამ აღნიშნა, რომ საკითხები, რომლებიც მოსწავლეთა მხრიდან დაისმეოდა აქტიურად განიხილებოდა სკოლის სხვადასხვა წარმომადგენელთან ერთად. გარდა ამისა, ბიუჯეტის დამტკიცების პერიოდში წინასწარ ხდებოდა მოსწავლეთა ინტერესების დადგენა და გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მოპოვებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და, ასევე, დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა როენა ფიფიამ დაადასტურა, რომ დაწესებულება ფლობდა აღნიშნულ დოკუმენტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე- 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლას (ს/კ: 242735910) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩქვალერის თემი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი- 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, დაწესებულებას უნდა წარმოედგინა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.“

6. „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს თემის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049715) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს თემის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეცხრე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ **9.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის გა ნხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს . სკოლა მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტ, სოფელ ქერეში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 90 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90-მოსწავლისთვის.
ნანა ედიშერაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა შეფასებები. კერძოდ, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი და კომპონენტები 3.1 და 3.4 შეფასდა მეტწილ შესაბამისად. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა კი, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლას (ს/კ:218049715) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.1, 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, სკოლამ უნდა განსაზღვროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციების გათვალისწინებით, დაამონტაჟოს შიდა სამეთვალყურეო კამერები და შეიმუშაოს, დაამტკიცოს და შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებებთან და შესაბამისი მტკიცებულებები წარმოადგინოს ცენტრში.“

7. „სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის სკოლას (ს/კ: 248417805) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N1750749 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 1750749 ოქმის მესამე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვარდენ ნიქაბაძემ, რომელმაც განაცხადა რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 250 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობდნენ მოსწავლეებისათვის განსაკუთრებული გარემოს შექმნას.
მისი განმარტებით, 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს,“ თუმცა კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ვარდენ ნიქაბაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის დაწყებული ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მუშაობა. სკოლის დირექტორმა, იამზე თურმანიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა და ნაწილი რჩევებისა უკვე შესრულებული ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, როგორ ახდენდა სკოლა მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლაში და რა მექანიზმი ჰქონდა შემუშავებული ამ მიზნით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, იამზე თურმანიძემ, განმარტა, რომ მოსწავლეთა ადაპტაციაზე ზრუნავდნენ კლასის დამრიგებლები, თუმცა ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ სკოლამ ამ მიმართულებით გამოყო პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინირებას გაუწევდა მიმდინარე პროცესს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლას (ს/კ: 248417805) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი კაპრეშუმი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი კაპრეშუმი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი კაპრეშუმი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი- 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შ ე ს წ ა ვ ლ ა ;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 2.2 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, დაწესებულებას უნდა წარმოედინა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, გამოეყო შესაბამისი ფართი, მოეწყო და აღეჭურვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.“

8. „სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის სკოლას (ს/კ: 225065372) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მეცხრე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ 9. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის სა კითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა მონაწილეობას აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაგდა მიქაბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთში, პირველი ქუჩა N10-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 80 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80- მოსწავლისთვის.
მაგდა მიქაბერიძის განცხადებით, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, ასევე „შესაბამისად“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო, როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა „შესაბამისად“, თუმცა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რაც განპირობებიული იყო აღნიშნულ საფეხურებზე 2.2 კომპონენტის „მეტწილ შესაბამისად„ შეფასებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. მისი განმარტებით, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლა იყო მცირეკონტიგენტიანი. დაწესებულება ორიენტირებული იყო თითოეული მოსწავლის მხარდაჭერასა და განვითარებაზე. სკოლის მასწავლებლები მოხალისეობრივი საწყისებით ამზადებდნენ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ სკოლაში იყო თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემო, რომელიც აისახებოდა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბები არაფორმალური განათლების მიმართულებით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან „იბერია“ და უნივერსიტეტთან, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა აემაღლებინათ ცნობიერება პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის ბაზაზე ხდებოდა მომავალი მასწავლებლების მომზადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე.
ექსპერტის თქმით, განსაკუთრებით აქტიური და გამორჩეული იყო დაწესებულებაში არსებული სპორტის მიმართულება. სკოლას მოგებული ჰქონდა უამრავი პრიზი სხვადასხვა სპორტის სახეობაში. მან ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, გაეცნო და მიაჩნდა თუ არა შესაბამისად სკოლის მიერ ბმულების სახით წარმოდგენილი სასწავლო რესურსები.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა , კახა გალდავამ განაცხადა, რომ ის გაეცნო აღნიშნულ რესურსებს და მიიჩნევდა, რომ ზოგიერთ მათგანი იყო მწირი, ან საერთოდ შეუსაბამო. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს განხორციელდა ზემოხსენებული საკითხების განხილვა და დაწესებულებისგან განმარტებების მიღება. , მისი თქმით, სკოლამ სწავლის დასაწყისში შექმნა რესურსები საკმაოდ დაჩქარებულ დროში და ამ მიზეზით ვერ მოხდა დოკუმენტაციის სრულყოფა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა თვითმმართველობის ოქმი, რომელშიც ასახული იყო ერთი მოსწავლის არჩევა თვითმართველობის შემადგენლობიდან დისციპლინურ კომიტეტში, თუმცა სხვა დოკუმენტი, რომელიც ასახავდა აღნიშნული კოლეგიალური ორგანოს მუშაობას, დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი.
საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა რომელ მნიშვნელოვან ინიციატივებს განიხილავდა მოსწავლეთა თვითმმართველობა.
სკოლის დირექტორმა, მანანა გურგენაძემ განაცხადა, რომ თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში მიმდინარე პერიოდში თვითმართველობის ინიციატივით ხორციელდებოდა პროექტი „ეკო კლუბი“.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ სკოლას ვეგ-გვერდზე განთავსებულ ძლიერ მხარეებში დაფიქსირებული ჰქონდა ინფორმაცია დაწესებულების მიერ მოსწავლის სოციალური, ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის შესახებ საჭიროებების დადგენის თაობაზე, შემდგომი ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა გაეზიარებინა, რას გეგმავდა სკოლა ამ მიმართულებით.
სკოლის დირექტორმა, მანანა გურგენაძემ განაცხადა, რომ მათი მოსწავლეები ქმნიდნენ ხელნაკეთ ნივთებს, რომლის გამოფენა - გაყიდვასაც გეგმავდა სკოლა, შემოსული თანხით კი აპირებდნენ მოსწავლეების დახმარებას.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, სკოლის დირექტორს რჩევის სახით განუცხადა, რომ სათანადოდ გაეთვალათ და გაეთვალისწინებინათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებული რისკები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლას (ს/კ:225065372) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბაღდათი, სოფელი ნერგეეთი, პირველი ქუჩა N10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბაღდათი, სოფელი ნერგეეთი, პირველი ქუჩა N10
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბაღდათი, სოფელი ნერგეეთი, პირველი ქუჩა N10

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის სრულყოფილად აღჭურვის (შირმა, კომპიუტერი, პულსოქსიმეტრი, მხედველობის შესამოწმებელი ცხრილი, კისრის ფიქსატორი, გადაუდებელი დახმარების ჩანთა, ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი, შპადელი, სტერილური საფენები. ექთნისთვის სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და მომსახურების სააღრიცხვო ფორმა), შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან

შესაბამისობის შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებისა და შეთანხმების, სკოლის მოძრავი პანდუსით/ან ლიფტით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.“

9. „სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლას (ს/კ: 208142776) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N 1765579 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ

თბილისის N108 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. N64-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1800 მოსწავლე.

მისი თქმით, სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 3 (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". დაწყებით საფეხურზე სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო დაწყებით საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებით საფეხურზე კომპონენტი 2.2 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. კომპონენტები 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

მისი თქმით, სკოლის ფოიეში განთავსებული იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი წიგნი, რომელიც მოგვითხრობდა 2008 წლის ომში დაღუპულ გმირებზე. დაწესებულებაში ასევე მოქმედებდა ინკლუზიური განათლების კათედრა და მთლიანობაში ირიცხებოდა 44 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთა მხარდაჭერის მიზნით იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროექტი და ღონისძიება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ციფრული ტელევიზია.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, თეა მათითაიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეინიშნებოდა რიგიშეუსაბამობები, , მაგრამ ამ მიმართულებით, ვიზიტის დროს, მოხდა გარკვეული რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემა, რომელთა ნაწილის გათვალისწინება მოახერხეს მასწავლებლებმა. ექსპერტის განცხადებით, I-VI კლასებში მოცემული კურიკულუმის ჩარჩოში არსებული ხარვეზები მეტწილად გამოსწორებულ იქნა. თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხელი არ მიუწვდებოდა კომპლექსურ დავალებებზე და გამოთქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა სკოლამ ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ მოახერხა.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გეოგრაფიის მიმართულებით გამოცხადებულ ვაკანსიაზე საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც 7 წევრიდან ესწრებოდა 2 და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებაც ხდებოდა ორი წევრის მიერ. საბჭოს ამავე წევრმა დასძინა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ამ შემთხვევაში, სხდომას უნდა დასწრებოდა 3 ადამიანი მაინც და სკოლას მიმართა თხოვნით აღნიშნულის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, მაია მღვდელაძემ, აღნიშნა, რომ მოცემულ დოკუმენტზე არ ფიქსირდებოდა იმ წევრების ხელმოწერები, რომლებიც შეხვედრაზე იყვნენ დისტანციურად. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო თანხმობა დადასტურებული ყოფილიყო ხელმოწერით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლას (ს/კ : 208142776) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, შუამთის ქ. N64
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, შუამთის ქ. N64
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, შუამთის ქ. N64

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ასევე ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

10. „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 25 იანვრის N71540 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 25 იანვრის N71540 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 235894467) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2026 წლის იანვრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2026 წლის იანვრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის N71540 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 25 იანვრის N71540 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლენჯერში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 100 მოსწავლე. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტ ლელა ბუბაშვილის განმარტებით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში ფიქსირდებოდა საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკიულუმი, გარდა სამოქალაქო განათლებისა. საბჭოს წევრმა ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ლელა კაკაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას თავდაპირველად ჰქონდა წარმოდგენილი ერთი ნიმუში. ექსპერტისგან გაცემული შესაბამისი რეკომენდაციებისა და რჩევების შემდეგ მოხდა კურიკულუმების შესწორება და სრულყოფილი სახით წარმოდგენა.

სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის დირექტორმა ლალი გულედანმა აღნიშნა, რომ სკოლაში მოცემული ეტაპისთვის გარკვეულწილად გათვალისწინებული იყო ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში აღმოფხვრილი იყო სახანძრო უსაფრთხოებასთან და ვიდეო-კამერებთან დაკავშირებული პრობლემა. ასევე სრულყოფილ მდგომარეობაში იყო სკოლის ვებ გვერდი. სკოლის მიერ შეთანხმებული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ლალი გულედანმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის პანდუსებთან დაკავშირებით სკოლა მოლაპარაკებებს აწარმოებდა შესაბამის სამსახურთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მესამე პუნქტების, 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლენჯერის №2 საჯარო სკოლას (ს/კ : 235894467) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მესტიის მუნიციპალიტეტი. სოფელი ლენჯერი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მესტიის მუნიციპალიტეტი. სოფელი ლენჯერი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2026 წლის იანვრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის იანვრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სკოლის ექთნის აყვანისა და სამედიცინო კაბინეტის

მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ვიდეოკამერების დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვის მტკიცებულებების, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტის, პანდუსების დამონტაჟების ამსახველი მტკიცებულებებისა და სკოლის ვებგვერდის ფუნქციონირების დამადასტურებელი მტკიცებულებების ცენტრში წარმოდგენა.“

11. „სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლას (ს/კ: 222431198) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია სოხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაცხოვრისკარში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 100 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი პირველი, მეორე(დაწყებითი, საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 და 3.5 „მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, ია სოხაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ია სოხაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. დაწესებულებაში ჩამოყალიბებული იყო „ეკო სკოლა“, რომლის ფარგლებშიც სკოლაში ხორციელდებოდა გარემოსდაცვითი აქტივობები. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში შექმნილი იყო ალბომი „ჩვენი სკოლის მატიანე“, სადაც ინახებოდა ისტორიული ფაქტები სკოლასთან დაკავშირებით. ალბომში მოცემული ინფორმაცია დაწესებულების შესახებ სრულ შთაბეჭდილებას უქმნიდა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ ისტორიის კურიკულუმზე და სკოლას მისცა რჩევა მომავალში დავალებები ყოფილიყო მეტად ორიგინალური და შემოქმედებითი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, აკაკი სადუნიშვილმა განაცხადა, რომ მისი მხრიდან გაიცა რჩევები საზოგადოებრივი მიმართულების კურიკულუმებთან დაკავშირებით და ინტერვიურების დროს სკოლამ გამოხატა მზაობა რჩევების გათვალისწინების თაობაზე.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ყურადღება გაამახვილამოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმის დოკუმენტზე.მისი თქმით, ამ მიზნით დაწესებულებაში შექმნილი იყო მოსწავლეთა უფლებების დაცვის კომისია. ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტი გულისხმობდა გარკვეულ ფაქტორებთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირებას. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენიებული სამეთვალყურეო საბჭო და კომისია იყო თუ არა ორი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, სვეტლანა ბოკუჩავამგანმარტა, რომ დოკუმენტში საუბარი იყო ორ სტრუქტურულ ერთეულზე. სამეთვალყურეო საბჭო ახდენდა მოსწავლეთა უფლებების დაცვის შესწავლას და შემდგომში მოძიებულ ინფორმაციას აწვდიდა კომისიას. სვეტლანა ბოკუჩავამ დასძინა, რომ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დანიელ თოფურიას სახელობის აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მაცხოვრისკარის საჯარო სკოლას (ს/კ : 222431198) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაცხოვისკარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაცხოვისკარი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე (დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება

და ცენტრში წარდგენა; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟება და დამადასტურებელი დოკუმენტის ცენტრში წარმოდგენა.“

12. „სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 სექტემბრის N1251483 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 27 დეკემბრის N1251483 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049252) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის სექტემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის სექტემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1251483 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1251483 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის

სავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, გორის მუნიციპალიტეტ, სოფელ ტყვიავში. სკოლა ახორციელებდა სამივე (დაწყებითი,საბაზო,საშუალო) ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 506 მოსწავლე. ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და საჭირო ინფრასტრუქტურის შეფასებით სკოლაში შესაძლოა განთავსებულიყო 506 მოსწავლე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი თითოეულ კლასში იქნებოდა 29 მოსწავლე.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და დარღვევად მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელიც სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა:

პირველი სტანდარტი, სკოლის ფილოსოფია შეფასდა, როგორც სტრანდარტთან შესაბამისი, ვინაიდან კომპონენტი 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შეფასდა, როგორცსრული, ხოლო , კომპონენტი 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, როგორც მეტწილი.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც შესაბამისი, ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად:

3.1. პერსონალის მართვა -სრული; 3.2. პერსონალის განვითარება-სრული; 3.3. პროცესის მართვა - სრული; 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილი; 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა- სრული; 3.6. საინფორმაციო რესურსები- სრული და 3.7. ფინანსური რესურსები- სრული

ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის (მოსწავლეთა მხარდაჭერა) ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგივე შეფასება ვრცელდებოდა მეორე სტანდარტზე - სასკოლო კურიკულუმი - სამივე საფეხურისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტი შეაფასა,როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ასევე ისაუბრა სტანდარტის იმ კომპონენტებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც სტანდარტთან მეტწილ ან ნაწილობრივ შესაბამისი იყო. ექსპერტმა განაცხადა, რომ ინდიკატორი 1.2.1.2-დან გამომდინარე სკოლამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (26.06.2022-06.09.2023) რაც შეეხებოდა იდიკატორ 1.2.1.3 -ს ექპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლას უნდა უზრუნველეყო სამოქმედო გეგმის შემუშავება (26.06.2022-15.09.2023) ასევე, ინდიკატორ 1.2.1.4 -თან მიმართებით სკოლას უნდა უზრუნველეყო სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც აღწერილი იქნებოდა სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნებოდა (26.06.2022-15.09.2023). რაც შეეხებოდა 3.4.1.1 ინდიკატორს, გაცემული რეკომენდაციის მიხედვით სკოლას უნდა უზრუნველეყო აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის (20.08.2023-01.08.2024) და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.06.2023-31.03.2024). სკოლაა ასევე უნდა უზრუნველეყო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება-ინდიკატორი 3.4.1.2 (01.12.2023).

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, საბჭოზე წარადგინა სკოლის შენობისა და ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა რეაბილიტირდა 2015-2016 წლებში და ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო სრული მატერიალური

რესურსით. სკოლას ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ქიმიის ლაბორატორია და სველი წერტილები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, მოდის დანდურიშვილი, დაინტერესდა სტრატეგიული გეგმის შემუშავებით და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაასრულეს თუ არა დოკუმენტზე მუშაობა. ვინაიდან შესაბამისობის გეგმაში მითითებული იყო, რომ დოკუმენტი მზად იქნებოდა მიმდინარე წლის 06 სექტემბერს.
სკოლის დირეტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლია ფალელაშვილმა, დაადასტურა, რომ მათ შეიმუშავეს და 06 სექტემბერს დაამტკიცეს სტრატეგიული გეგმა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და სთხოვა აეხსნა ის, თუ როგორ მოახერხეს დოკუმენტაციების შემუშავების პროცესებში სასკოლო საზოგადოების ჩართვა.
სკოლის დირექტორი მოვალეობის შემსრულებელმა, ლია ფალელაშვილმა, აღნიშნა, რომ ისინი გამოკითვებისთვის იყენებდნენ ელექტრონულ პლატფორმა- Forms, რის საშუალებითაც იგებდნენ და ითვალისწინებდნენ მშობლების აზრს.
საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ტექნოლოგიების ექსპერტმა, მეგი კაპანაძემ დასძინა, რომ ვიზიტების დროს, გასაუბრებებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი გამოკითხვებს ატარებდნენ და ცდილობდნენ მშობლების ჩართვას სხვადასხვა საკითხებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 506 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049252) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 506 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისგანხორციელებისენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისგანხორციელებისადგილი(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლისდაქუჩისმითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყვიავი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყვიავი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყვიავი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა).“

13. „სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N1375556 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 16 ოქტომბრის N1375556 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლას (ს/კ: 232004586) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ოქტომბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ოქტომბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N1375556 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს

ცვლილება „სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 16 ოქტომბრის N1375556 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის ავტორიზაციის სა კითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ჭიაბერაშვილმა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 აგვისტოს. დაწესებულება მდებარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამები ხორციელდებოდა ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 160.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მან დასძინა, რომ მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.
მაკა ჭიაბერაშვილმა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სკოლა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით, მხარს უჭერდა არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, მათ შორის, პერსონალი ყურადღებას უთმობდა საზაფხულო ბანაკების მოწყობას, ინტელექტუალურ თამაშებსა და ეკო კლუბს. სკოლა შეესაბამებოდა თანამედროვე სტანდარტებს და აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარით, მათ შორის, ლიფტით, წიგნადი ფონდითა და რეკრეაციული ზონით.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მისი თქმით, დაწესებულებამ მიიღო დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ, თუმცა დასკვნის მიხედვით, არ დგინდებოდა მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი.კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, ხანძრის შემთხვევაში დაწესებულებას არ ჰქონდა 57 ტონიანი წყლის ავზი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან ერთ-ერთი ეხებოდა მშობელთან გაგზავნილ შეტყობინებას, რომლის მიხედვითაც, დაწესებულება მშობელს აცნობდა მოსწავლის სტატუსის შეჩერების

თაობაზე საბჭოს წევრმა, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, რა პროცესები განხორციელეს მათ ამ მიმართულებით და ჰყავდათ თუ არა ჩართული სოციალური მუშაკი. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ია კვიტიამ, აღნიშნა რომ ისინი პერიოდულად აწვდიდნენ მშობელს ინფორმაციას, თუმცა სოციალური მუშაკი არ ჩაურთავთ მიმდინარე პროცესებში.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა, დაეზუსტებინა, რას გეგმავდა სკოლა წყლის ავზთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის, განცხადებით, სპეციალურ სამსახურთან გასაუბრების შედეგად, დგინდებოდა, რომ სოფელში უნდა დამონტაჟებულიყო სახანძრო ჰიდრატი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო სკოლის ტერიტორიაზე 54 ტონამდე წყლის ავზის განთავსება. აქვე, ია კვიტიამ დასძინა, რომ რეალისტური გზა სახანძრო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, იყო სოფელში სახანძრო ჰიდრატის დამონტაჟება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვისსაჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დააყენა სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლას (ს/კ: 232004586) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიქთარვა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭოს თავმჯომარემ, დავით მალაზონიამ, განმარტა რომ მეორე სტანდარტის მონიტორინგი განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და კურიკულუმები საჭიროებდა რევიზიას.“

14. „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N 1552694 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლას (ს/კ: 239885086) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მეექვსე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის მეექვსე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის გა ნხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ეკში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 60 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 39 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საკუთარი სასკოლო მუზეუმი, სადაც სკოლასთან დაკავშირებით მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა იყო წარმოდგენილი. მუზეუმთან აქტიურად თანამშრომლობდნენ მოსწავლეები და გარდა იმისა, რომ სწავლობენ სამუზეუმო მუშაობას, ისინი ეცნობოდნენ სკოლისა და სოფლის ისტორიას, ასვე მონაწილეობენ მუზეუმის გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რამდენად მზარდი იყო მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლელა სიჭინავამ აღნიშნა, რომ ბოლო წლების დინამიკით მცირე იყო მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი.
საბჭოს წევრი შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, სურვილის არსებობის შემთხვევაში სად აგრძელებდნენ სწავლას სოფელ ეკის საჯარო სკოლის მოსწავლეები დაწყებითი და საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ სოფელში ფუნქციონირებდა პროფესიული კოლეჯი, სადაც შეისწავლებოდა სხვადასხვა პროფესია. გარდა აღნიშნული პროფესიული სასწავლებლისა საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა სწავლა გაეგრძელებინათ ახლოს მდებარე სოფლის საჯარო სკოლაში საშუალო საფეხურზე.

საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ლელა სიჭინავას მიმართა კითხვით, ბოლოს რომელ წელს მოხდა სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2019 წელს მოხდა სკოლის რეაბილიტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა ექსპერტების მიერ 3.5 კომპონენტში რეკომენდაციებზე და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ გეგმავდნენ აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხზე სკოლას ჰქონდა მიწერილობა სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, ექსპერტმა ლია გიორგაძემ აღნიშნა, რომ სკოლას მოცემული დროისთვის ჰქონდა სპეციალურად გამოყოფილი სივრცე, სადაც ხდებოდა სპორტული ინვენტარის შენახვა და გარკვეული სპორტული აქტივობების განხორციელება.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლას (ს/კ : 239885086) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეკი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეკი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;

მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).“

15. „სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლას (ს/კ: 204863647) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის ნოემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის ნოემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 დეკემბრის N1638083 ოქმის მეოთხე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 15 და 16 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, წყნეთში, გრიშაშვილის ქ. N1-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 900 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია), მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი), მესამე სტანდარტი (სასწავლოპროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, კომპონენტი 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ნანა ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აქცენტი კეთდებოდა ლიდერობის კულტურაზე. მისი განცხადებით, სკოლაში დამკვიდრებული იყო დემოკრატიული მართვის მოდელი და თანამშრომლობითი გარემო, ასევე ფუნქციონირებდა რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული რესურსებით. ნანა ედიშერაშვილმა დასძინა, რომ ექსპერტებს ვიზიტის დროს საკლასო ოთახებში დახვდათ მოსწავლეების მიერ დამზადებული საინტერესო რესურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რა ინფორმაცია იყო მოცემული შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია თათულაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით, სკოლის შენობა - ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოდ. დირექტორის მ/შ -ს განცხადებით, დასკვნის თანახმად, შენობა მოცემული დროისთვის იყო უსაფრთხო, თუმცა საჭიროებდა შესაბამის გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარებას. ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, აღნიშნულთან დაკავშირებით ჰქონდა თუ არა სკოლას მიმართული სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. ნათია თათულაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰქონდა მიწერილი მოცემულ სააგენტოსთან ზემომითითებულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმზე და აღნიშნა, რომ რესურსები ემთხვეოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის ვებ. გვერდზე მოცემულ კომპლექსურ დავალებებს. საბჭოს წევრმა, კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, რამდენად ახდენდა სკოლა აღნიშნული კურიკულუმის რეალობაში განხორციელებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ევგენი გუგულაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ სწორედ ვებ. გვერდზე განთავსებული, მზა კომპლექსური დავალებებით, თუმცა განხორციელების დროს ისინი გეგმავდნენ გარკვეული ცვლილებების შეტანას მათში და კლასის საჭიროებებზე მორგებას. პეტრე ბაბილუამ შეფასების

რუბრიკასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, კონკრეტულად, რა ტიპის ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება ხდებოდა მოცემულ რუბრიკაში. სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდასხვადასხვა პროგრამის გამოყენება, მაგალითად GeoGebra. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ, დაწესებულებაში აღნიშნული პრაქტიკა ამ ეტაპზე ინერგებოდა, შეფასებაც განსაზღვრული იყო დაბალი ქულით. პეტრე ბაბილუა დაინტერესდა კლასების შესაბამისი კომპიუტერებით აღჭურვის საკითხით, რამდენად შეუფერხებლად მიმდინარეობდა აღნიშნული პროგრამების გამოყენება. ნოდარ ანგურიძის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს დაეზუსტებინა, დამაკმაყოფილებელი იყო თუ არა სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ბესიკ ბერიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან მოხდა გარკვეული რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემა. სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ მაღალი მზაობა იმისა, რომ შეძლებდნენ მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ისაუბრა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შესახებ და აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალებები თავისი იდეით, შინაარსით და სირთულით განსხვავებულიყო უნდა ყოფილიყო სტანდარტული საშინაო დავალებებისგან. სკოლის დირექტორის მ/შ-ს განცხადებით, მოცემული კომპლექსური დავალებები ჯერ კიდევ დამუშავების პროცესში იყო და იგეგმებოდა ცვლილებების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N137 საჯარო სკოლას (ს/კ: 204863647) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.თბილისი, წყნეთი, გრიშაშვილის ქ. N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.თბილისი, წყნეთი, გრიშაშვილის ქ. N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.თბილისი, წყნეთი, გრიშაშვილის ქ. N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, განეხორციელებინა შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები.“

16. „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლას (ს/კ: 223104281) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2025 წლის დეკემბრიდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2025 წლის დეკემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მეცხრე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბრის N1704379 ოქმის მეცხრე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„9. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხ ის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ასპინძაში, სოფელ ოშორაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
მარინე ჯანაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტი 3.4 კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. კერძოდ, პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ მესამე სტანდარტის 3.4. კომპონენტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 3.4.1.1. ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაცია. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაცია აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლას უცხოელ პედაგოგებთან მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. სკოლას რამდენჯერმე ჰყავდა „მშვიდობის კორპუსის“ პროექტის ფარგლებში მოხალისე მასწავლებელი, რაც ხელს უწყობდა მოსწავლეებს ინგლისური ენის უკეთ დაუფლებაში და კულტურული მრავალფეროვნებისადმი ზიარებაში. ბოლო წლებში ერთ-ერთი მოხალისე მასწავლებელი მოსვლისთანავე აქტიურად ჩაერთო სკოლისა და თემის ცხოვრებაში, რაშიც დახმარებას უწევდნენ პარტნიორი მასწავლებლები, სკოლის დირექცია და ყველა პედაგოგი. მან მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების მიზნით მრავალი პროექტი, საკლუბო მუშაობა, გაზაფხულის ბანაკი და სხვადასხვა აქტივობა განახორციელა. პარტნიორ პედაგოგ ერთად მოიპოვა გრანტი 10 000 დოლარის ოდენობის, რაც მოხმარდა ოშორის საჯარო სკოლაში ინგლისური ენის კაბინეტის მოწყობას და მის აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით. სკოლის ეზოში მდებარე ძველი საშეშე გადაიქცა თანამედროვე, გარემონტებულ, ტექნიკით აღჭურვილ სივრცედ, რამაც მოსწავლეებში აამაღლა მოტივაცია, ხელი შეუწყო ინგლისური ენის უკეთ შესწავლას და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, როგორიცაა პროექტი: “ სამაგიდო თამაშებით ინგლისური ენის უკეთ შესწავლა“. ამ პროექტის ფარგლებში ინგლისური ენის კაბინეტისთვის შეძენილ იქნა ამერიკიდან უმაღლესი ხარისხის სამაგიდო სათამაშოები, სკოლის მოსწავლეთა ინტეგრაციის და ინგლისური ენის გაუმჯობესების მიზნით. ოშორის ინგლისური ენის კლუბი თანამშრომლობდა „ახალციხის ამერიკის კუთხესთან“ სადაც გაწევრიანებულები იყვნენ სხვადასხვა სკოლის ბავშვები და ოშორის სკოლის მოსწავლეები მათთან ერთად ინგლისურ ენაზე ქმნიდნენ მინი სპექტაკლებს ,პროექტებს. დამეგობრდნენ სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, და ერთმანეთს გააცნეს საკუთარი სკოლის ისტორია. მშვიდობის კორპუსის და მოხალისე პედაგოგის თანადგომით ოშორის საჯარო სკოლაში განხორციელდა კიდევ ერთი პროექტი “წარმატებული ქალები“. პროექტის ფარგლებში პროექტის მონაწილე გოგონებმა ,მოინახულეს ადგილობრივი ისტორიული ადგილები, რეწვის სკოლა მუზეუმი სოფელ მუსხში, შეხვდნენ წარმატებულ ქალ ინდმეწარმეებს; პარალელურად აითვისეს გუგლის რუკაზე ადგილმდებარეობის დატანის ტექნიკა. ინგლისური ენის კაბინეტი დღესაც აქტიურად ფუნქციონირებდა და აქ ტარდებოდა, როგორც ინგლისური ენის გაკვეთილები, ასევე ხორციელდებოდა კლუბის აქტივობები. სკოლა მიმდინარე წელსაც ელოდებოდა მოხალისე მასწავლებელს მშვიდობის კორპუსიდან და მასთან ერთად კიდევ არაერთ საინტერესო პროექტს გეგმავდნენ.
ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა საჭიროებდა რეაბილიტაციას, თუმცა დაცული იყო ყველა სანიტარული ნორმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტი მოსწავლის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით და სთხოვა სკოლის წარმომადგენელს აეხსნა რა პროცედურები გაიარა სკოლამ, სანამ მოსწავლეს სტატუს შეუჩერებდა.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით კობერიძემ აღნიშნა, რომ მოსწავლე არ ცხადდებოდა სკოლაში, რის შედეგადაც მოხდა მისი სტატუსის შეჩერება. პროცესში ჩართული იყო როგორც კლასის ხელმღვანელი, ასევე მშობელი და სოციალური მუშაკი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლას (ს/კ: 223104281) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოშორა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოშორა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოშორა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:45 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა